

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საორგანიზაციო სხდომის
ოქმი № 1

ქ. თბილისი.
14 დეკემბერი, 2020 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირაკლი კოვზანაძე (კომიტეტის თავმჯდომარე).

სხდომას ესწრებოდნენ: კომიტეტის წევრები: პაატა კვიციანიძე, გია ბენაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, რამინა ბერაძე, ირაკლი ზარქუა, ბექა ლილუაშვილი, ბეჟან წაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: კომიტეტის აპარატი და საქართველოს პარლამენტის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სიითი შემადგენლობის 8 წევრის დასწრებით (კვორუმი - 5).

დღის წესრიგის პროექტი:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულების შემუშავება და დამტკიცება;
/მომხსენებელი: ირაკლი კოვზანაძე/
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.
/მომხსენებელი: ირაკლი კოვზანაძე/

კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ კომიტეტის წევრებს წარუდგინა კომიტეტის მიერ შემუშავებული საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულების პროექტი.

შეკითხვები დასვეს და აზრი გამოთქმეს: ირაკლი ზარქუამ, ირაკლი კოვზანაძემ. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 8 წევრმა. კომიტეტის წევრებმა დებულების პროექტს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დაადგინეს: მოწონებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს პარლამენტის ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, კომიტეტის წევრებს ასარჩევად წარუდგინა მოადგილეების კანდიდატურები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი კოვზანაძემ დაასახელა პაატა კვიციანიძის კანდიდატურა.

ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 8 წევრმა. წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ერთხმად.

განიხილეს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოდგენილი ირაკლი ზარქუას კანდიდატურა.

ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 8 წევრმა. ირაკლი ზარქუას კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს:

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნეს პაატა კვიციანიძე, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნეს ირაკლი ზარქუა. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს პარლამენტის ბიუროს.

სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კოვზანაძე

სხდომის მდივანი

ირინა ლომია